სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 აპრილი, 2026 წელი

ბრძანება № 01-08/367

ბსუ-ს „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში „გუდავაძე-პატარკაციშვილის“ სახელობის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ–ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის №07-01/58 გადაწყვეტილების, ბსუ-სა და გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდს შორის 2025 წლის 06 ოქტომბერს დადებული საგრანტო ხელშეკრულებისა და ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2026 წლის 14 აპრილის №430284 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში წინამდებარე ბრძანების №1 **დანართით** განსაზღვრულ ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს დაენიშნოს და გაიცეს **„გუდავაძე-პატარკაციშვილის“ სახელობის სტიპენდია, ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე) 2026 წლის 01 მარტიდან 2026 წლის 1 აგვისტომდე პერიოდზე, 5 თვეში ჯამში 750 ლარი.
2. წინამდებარე ბრძანების შესახებ ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტმა აცნობოს „გუდავაძე -პატარკაციშვილის“ ფონდს და შესაბამის სტუდენტებს (ასევე ბრძანება განთავსდეს სტუდენტების პირად საქმეებში).
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე

,,ბსუ-ს ,,ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის 2025-2026 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ,,გუდავაძე-პატარკაციშვილის'' სახელობის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 16 აპრილის №01-08/367 ბრძანების

№1 დანართი

ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ,,ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებსაც დაენიშნა და უნდა გაიცეს **,,გუდავაძე-პატარკაციშვილის'' სახელობის სტიპენდია, ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით** (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გარეშე), 2026 წლის 01 მარტიდან 2026 წლის 1 აგვისტომდე პერიოდზე, 5 თვეში ჯამში 750 ლარი.

N	2025-26 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში **,,გუდავაძე-პატარკაციშვილის'' სტიპენდიატი** ბსუ-ს სტუდენტის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	**,,ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების** ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო **პროგრამაზე სწავლების წელი**
1.	მარიამ ობოლაძე		მე-2 სასწავლო წლის სტუდენტი
2.	ემზარ ჭელიძე		მე-5 სასწავლო წლის სტუდენტი
3.	ნონა მარკოიძე		მე-5 სასწავლო წლის სტუდენტი
4.	ნინო დუმბაძე		მე-5 სასწავლო წლის სტუდენტი
5.	ანა დოლიძე		მე-5 სასწავლო წლის სტუდენტი
6.	ნინო მახარაძე		მე-5 სასწავლო წლის სტუდენტი
7.	ბედინაძე მეგი		მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი
8.	მარიამ გაზაშვილი		მე-5 სასწავლო წლის სტუდენტი
9.	დიანა გუჩმანიძე		მე-4 სასწავლო წლის სტუდენტი
10.	მარიამ დევაძე		მე-5 სასწავლო წლის სტუდენტი